



საქართველო
Deloitte Legal
17 ივნისი 2021

საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

ვაჭრობის ანტიდემპინგური კანონმდებლობა საქართველოში

2021 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს კანონი ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს დაიცვას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა) დემპინგური იმპორტისგან ადგილობრივი ინდუსტრია.

აღნიშნული კანონის შესაბამისად, საქართველოს კონკურენციის სააგენტო („სააგენტო“) შეისწავლის პროდუქტის დემპინგური იმპორტის არსებობას და შესწავლის შედეგების საფუძველზე წარუდგენს დასკვნას საქართველოს მთავრობას სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღების, გადახედვის ან გაუქმების შესახებ. თუ მტკიცებულებებით შესწავლის დასრულებამდე აშკარაა, რომ იმპორტული პროდუქტი დემპინგურია და ადგილობრივ ინდუსტრიას ზიანს აყენებს ან ქმნის მისთვის ზიანის მიყენების საფრთხეს, სააგენტო მთავრობას წარუდგენს წინასწარ დასკვნას წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ.

შესწავლის დაწყების საფუძველია სააგენტოში ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ ან მისი სახელით წარდგენილი წერილობითი განცხადება.

კანონის შესაბამისად, 2021 წლის 1 ივნისს საქართველოს მთავრობამ დამატებით მიიღო შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- დადგენილება №249 - ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ;
- დადგენილება №250 - საქართველოს მთავრობის მიერ ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის თაობაზე;
- დადგენილება №251 - წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიებისა და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ადმინისტრირების წესის შესახებ.

აღნიშნული აქტებით განისაზღვრა:

- სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი, რომელიც წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრულ პროცენტულ წილს, რომელიც გამოითვლება იმპორტული პროდუქტის საბაჟო ღირებულებიდან. მისი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს;
- წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიება:
 - შეიძლება წარმოდგენილ იქნას უზრუნველყოფის ფორმით - ნაღდი ფულის დეპოზიტის ან გარანტიის სახით; და
 - წინასწარი ანტიდემპინგური ტარიფი - წინასწარ განსაზღვრული პროცენტული წილი, რომელიც გამოითვლება იმპორტული პროდუქტის საბაჟო ღირებულებიდან.
- წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიებებისა და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ადმინისტრირების განმახორციელებელ ორგანოდ სსიპ შემოსავლების სამსახური.

საერთაშორისო ხელშეკრულებები

2021 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა შემდეგი ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი:

- საქართველოსა და იაპონიას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ კონვენცია;
- საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონ ჰონგ კონგს შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის და გადასახადების თავიდან არიდების აღკვეთის შესახებ შეთანხმება.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 330 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.